| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ევროპისმცოდნეობა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ევროპისმცოდნეობაში |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (161 კრედიტი სავალდებულო და 19 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | ევროპისმცოდნეობაში სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის მომზადება ევროპის რეგიონის და ქვეყნების მოსახლეობის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლის და კულტურის ფართოდ შესწავლის ჭრილში. |
| სწავლის შედეგები | აქვს:<br>• ფართო ცოდნა ევროპის რეგიონის და ქვეყნების ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი, დემოგრაფიული, ლინგვისტური, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა ასპექტების შესახებ და შეუძლია ევროპის რეგიონის და ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების აღწერა, შეფასება და ევროპული მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში რეგიონთმცოდნეობის, პოლიტიკური მეცნიერების, სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების და ხერხების გამოყენებით.<br>შეუძლია:<br>• კომუნიკაცია (ქართულ და უცხო ენებზე) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების უნარი.<br>• ევროპული ჰუმანიზმის, დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულების პრინციპების და ფასეულობების აღიარება, დაცვა და პატივისცემა და მისი საზოგადოებაში დამკვიდრება. |
| შეფასების წესი | **სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:**<br>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.<br>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| საკონტაქტო პირი | პროგრამის ხელმძღვანელი:<br>**ირაკლი მანველიძე**<br>ტელ : 577 14 10 99<br>e-mail: irakli.manvelidze@bsu.edu.ge |